

სტიქია ჭუბერში – მთავრობა მოსახლეობას კომპენსაციის გაცემას პირდება



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დტორვირთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის ინფორმაციით, ჭუბერში სტიქიის შედეგად 21 სახლი დაზიანდა, მათგან 7-9 კი მძიმე მდგომარეობაშია.

სტიქიის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები.

ბუნების დამცველები თანხმდებიან, რომ ჭუბერში დამანგრეველი სტიქიის გამომწვევი მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხე-ტყის უსისტემო ჭრაა. ამის შესახებ განცხადება დღეს ჭუბერში ჩასურმა პრემიერმაც გააკეთა და თქვა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან.

ბოლო მონაცემებით, მხოლოდ წერს სვანეთში ხე-ტყის უკანონო ჭრის 30 ფაქტია გამოვლენილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, სვანეთში სტიქიისს ეპიცენტრში იმყოფება და მიმდინარე მოვლენებს აღვირდინ აღევნებს თვადს. პრემიერის თქმით, დაზარალებული მოსახლეობა კომპენსაციებს მიიღებს:

„ჩვენ გავაკეთებ სრულ კომპენსაციებს, აღვადგენთ მოკვლე ვადაში როგორც ინფრასტრუქტურას, ასევე იმ საცხოვრებელ სახლებს, რასაც

ზიანი მიაღვა. ბუნებრივია, თუ ინჟინრებმა თქვეს, რომ ჯობია მოხდეს სახრის გადატანა, ამასაც აუცილებლად გავაკეთებთ. ჩვენ გვმართებს მეტი ინვესტიციები პრევენციაში, ადრე შეტყობინების სისტემებში. ეს გამორიცხავს, რომ დავდგეთ ასეთი ფაქტების წინაშე”, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, საქართველოში ძალიან ბევრი მდინარეა და საჭიროა, სწრაფი რეაგირებისა და ადრე შეტყობინების სისტემები იყოს ყველგან.

„სწრაფი რეაგირებისა და ადრე შეტყობინების სისტემები დღეს გვაქვს მხოლოდ ორ ადგილას. 2019 წლიდან ვინყებთ ამ ძალიან მასშტაბურ პროგრამას და ორი წლის განმავლობაში ყველგან გვექნება, რომელიც გამორიცხავს, რომ ასეთი ფაქტების წინაშე აღმოვჩნდეთ. სტიქიურ უბედურებას წინ აღუდგე რთურია, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ფოკუსირებული პრევენციაზე და ეს სისტემები სწორედ ამაში დაგვეხმარება. ეფექტური პრევენცია არის ყველაზე მისაღები პასუხი ასეთი გამონვევების დროს.

ეს არის ადრეული შეტყობინების სისტემის დამონტაჟება იმ მთებზე, საიდანაც ჭარბი ნარეჟის მიღების საშიშროება არსებობს, რაც საშიშარება მოგვცემს, ვადაზე ადრე შევიტყოთ ასეთი რისკების შესახებ. აპრობირებული სისტემებია, საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ევროკავშირიც გვეხმარება და ძალიან მოკლე ხანებში დავამონტაჟებთ”, – განაცხადა ბახტაძემ.